ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 52

"3" აპრილი 2020 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.018.273; №01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის №1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 11 მარტის №20.302.398 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.018.273; №01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის №1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 2019 წლის 27 ნოემბერს №01193313333-67 (№01200583259-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ქ.თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქ. მიმდებარე ტერიტორიის საცხოვრებელი მიკრო-უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

საპროექტო ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა
(კორექტირება)
მ 1:500

პირობითი აღნიშვნები

- - - - საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- ნაკვეთების გამიჯვნის საზღვარი
- (სზ-3) - საცხოვრებელი ზონა 3
- (სზ-5) - საცხოვრებელი ზონა 5
- (სსზ-2) - საზოგადოებრივ-საკვანძო ზონა 2
- არსებული შენობები
- სანებავე ყუთები
- (ტრ-1) - სატრანსპორტო ზონა 1
- შენობა-ნაგებობები
- განაშენიანების რეგულირების საზღვარი-(ლურჯი ხაზი)

მასშტაბი 1:500

N

უფლებრივი ზონირების გეგმარებითი პარამეტრები

ნაკვეთის №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ფართობი მ²	1488	902	418	440	440	577	804	396	2772	489	493	700	604	451	444	430	1162
ფუნქციური ზონა	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-3	სზ-5
კ-1	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5
კ-2	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	2.1
კ-3	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.1
მაქს.სრული სართული	3	3	3	3	3	3	3	3	4	3	3	3	3	3	3	3	6
მინიმალური სართული	1	1	1	1	1	1	1	1	1	სტაციონარული სამანქანო	სტაციონარული სამანქანო	1	1	1	სტაციონარული სამანქანო	სტაციონარული სამანქანო	1
მანსარდის სართული	1	1	1	1	1	1	1	1	-	სტაციონარული სამანქანო	სტაციონარული სამანქანო	1	1	1	სტაციონარული სამანქანო	სტაციონარული სამანქანო	1
საცხოვრ. ობიექტები	მაღალი ინტენსივობა	მაღალი ინტენსივობა	მაღალი ინტენსივობა	მაღალი ინტენსივობა	მაღალი ინტენსივობა	მაღალი ინტენსივობა	მაღალი ინტენსივობა	მაღალი ინტენსივობა	მაღალი ინტენსივობა	მიწისქვეშა სადგომი	მიწისქვეშა სადგომი	მაღალი ინტენსივობა	მაღალი ინტენსივობა	მაღალი ინტენსივობა	მიწისქვეშა სადგომი	მიწისქვეშა სადგომი	მაღალი ინტენსივობა
საბურავების ტიპი	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური	სეზონური
	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი	ავტომობილი



საპროექტო ტერიტორიის ბალანსი

1. საპროექტო არეალი: 15144 მ² (22 საკადასტრო ერთეული)

მათ შორის:

2. საცხოვრებელი ზონა-3 (სზ-3): 11404 მ²
3. საცხოვრებელი ზონა-5 (სზ-5): 1162 მ²
4. სატრანსპორტო ზონა-1 (ტრ-1): 2578 მ² (ბაკურიანებისთვის გამოყოფილი ფართობი)

განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 (სზ-5)-სთვის: 1162 X 0.5 = 581.0 მ²
განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 (სზ-5)-სთვის: 1162 X 2.1 = 2440.0 მ²
მაწანაწის კოეფიციენტი კ-3 (სზ-5)-სთვის: 1162 X 0.1 = 116.2 მ²

განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 (სზ-3)-სთვის: 11404 X 0.5 = 5702.0 მ²
განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 (სზ-3)-სთვის: 11404 X 1.5 = 17106.0 მ²
მაწანაწის კოეფიციენტი კ-3 (სზ-3)-სთვის: 11404 X 0.2 = 2280.8 მ²

1	
2	3
4	5

1. ზონის სახელი
2. სანებლისფერი
3. განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 (საპროექტო არეალზე)
4. განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 (საპროექტო არეალზე)
5. მაწანაწის კოეფიციენტი კ-3

ქ.თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქ. მიმდებარე ტერიტორიის საცხოვრებელი მიკრო-უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

ფუნქციური ზონირების რუკა

პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- ნაკვეთების გამიჯვნის საზღვარი
- (სზ-3) - საცხოვრებელი ზონა 3
- (სზ-5) - საცხოვრებელი ზონა 5
- არსებული შენობები
- სანაგვე ყუთები
- (ტრ-1) - სატრანსპორტო ზონა 1
- შენობა-ნაგებობები
- განაშენიანების რეგულირების საზღვარი-(ლურჯი საზღვარი)

მასშტაბი 1:500

N



ქ.თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქ. მიმდებარე ტერიტორიის საცხოვრებელი მიკრო-უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

სივრცითიგეგმარებითი წყობის სახეობა და შენობათა გამოყენების სახეობების სქემა

პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- ნაკვეთების გამიჯვნის საზღვარი
- მრავალბინიანი საცხ. სახლი (3 სრული სართულიმინისქვეშა სართული მანსარდა)
- მრავალბინიანი საცხ. სახლი (3 სრული სართულიმინისქვეშა სართული)
- ინდივიდუალური საცხ. სახლი (3 სრული სართულიმინისქვეშა სართული მანსარდა სურვილისამებრ)
- მრავალფუნქციური, კომერციული და საოფისე შენობა (3 სრული სართულიმინისქვეშა სართული მანსარდა სურვილისამებრ)
- მრავალბინიანი საცხ. სახლი (4 სრული სართული+მინისქვეშა სართული)
- არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობა (2 სრული სართული)
- განაშენიანების რეგულირების ხაზები-(ლურჯი ხაზი)

მასშტაბი 1:500

N



ქ.თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქ. მიმდებარე ტერიტორიის საცხოვრებელი მიკრო-უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

მიწის ნაკვეთის კოეფიციენტების კ-1 კ-2 კ-3 დადგენის რუკა

პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- ნაკვეთების გამიჯვნის საზღვარი
- კ1=0.5, კ2=2.1, კ3=0.1
- კ1=0.5, კ2=1.5, კ3=0.2
- (ტრ-1) - სატრანსპორტო ზონა 1
- საპროექტო და არსებული შენობა-ნაგებობები
- განაშენიანების რეგულირების საზღვები-(ლურჯი ხაზი)

მასშტაბი 1:500

N



არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები გადაღებულია დროით



25.11.2019

ფოტოს გადაღების თარიღი

განკარგულება - N 20.302.398
11 / მარტი / 2020 წ.

,,ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: NN01.13.01.018.273; 01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 27 ნოემბერს N01193313333-67 (N01200583259-67) განცხადებით მიმართა დავით არდაშელიამ (პ/ნ 62006027581) და მოითხოვა ,,ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: NN01.13.01.018.273; 01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთაუდო ფართობი: 15144 კვ.მ).

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 18 მაისის N12084 გადაწყვეტილების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დიღმის მასივში, ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. #14 და ნაკვ. #18/273) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.205, N01.13.01.018.273) გაიცა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

,,ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.273; N01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით ,,ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.273; N01.13.01.018.205) დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა.

განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება გულისხმობს მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.377) (წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ალბომის მიხედვით სექტორი #9) შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების პროექტის მიხედვით, გათვალისწინებული ორი, სამ სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად, 4 სართულიანი მრავალბინიანი შენობა-ნაგებობების განთავსებას. მიწის ნაკვეთზე ასევე იგეგმება 2 სართულიანი კომერციული შენობა-ნაგებობის და ასევე 2 სართულიანი დახურული საცურაო აუზის განთავსება (აღნიშნულ შენობებს კორექტირება არ ეხება).

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებით (უშუალოდ დასაკოტექტირებელი სექტორის) ჯამური ქალაქთმშენებლობითი მახვენებლები არ იცვლება და რჩება იგივე: საცხოვრებელი ზონა 3, რაც დამტკიცებული გრგ-ს პროექტით არის დადგენილი. ინტერაქტიულ რუკაზე არ არის ასახული შეთანხმებული ფუნქციური ზონირება. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კი შემდეგია: კ-1=0,5 ; კ-2=1,5; კ-3=0,2;

აღნიშნული კორექტირება არ იწვევს მიკროუბნის საერთო იერსახის ცვლილებას და არ იღვევა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებული არქიტექტურული კონცეფცია, ასევე, არ იცვლება მიწათსარგებლობის პარამეტრები. ამასთან, როგორც არსებული ფოტოსურათებიდან ირკვევა, N01.13.01.018.377 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებობა უკვე ნაწარმოებია და 3 სართულიანი შენობა-ნაგებობების ნაცვლად, აშენებულია 4 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5^1 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო; ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

განაშენიანების რეგულირების წესის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა გულისხმობს დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტაში არსებითად განსხვავებული ქალაქმშენებლობითი მახასიათებლების (განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის ზრდა, შენობა-ნაგებობების ფუნქციისა და განთავსების ცვლილება, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ცვლილება და სხვა) ცვლილებას, განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება თბილისის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობით.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება არ საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს პოზიციებს.

ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი კორექტირება არსებით გავლენას არ ახდენს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ გადაწყვეტაზე და სივრცით ტერიტორიულ კონცეფციაზე, მიზანშეწონილია დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში მოთხოვნილი ცვლილების შეტანა, ხოლო საპროექტო ნაკვეთისთვის ნებართვის გაცემისა და პროექტის შეთანხმების საკითხი განისაზღვრება უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობის დეტალური პროექტირების ეტაპზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ასევე, N01193313333-67 (N01200583259-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს ,,ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: NN01.13.01.018.273; 01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ'' ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18

ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაიგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე